15/06/2019

მეუფე იაკობი აცხადებს, რომ 16 ივნისს საზოგადოებისადმი საგანგებო მიმართავს გააკეთებს

არავინ სდევნის ლგბტ თემს, – ამის შესახებ მეუფე იაკობმა ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში განაცხადა.

მისივე თქმით, 16 ივნისს ამ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოებას მოწოდებით მიმართავს.

„ერი ნახავს, რა ტიპის მოწოდებასაც გავაკეთებ. გადავკეტავთ ბევრ ქუჩას. ხალხის ძალას ნახავს ყველა. არ შეიძლება, შანტაჟში ყავდეთ მთავრობა, ხელისუფლება. სახლში არავინ არ უვარდებათ მაგათ. არავის არ ჩავატარებინებთ მაგას, რა შუაშია კონსტიტუცია, ვარღვევთ რამეს? შეიკრიბონ და ჩაატარონ ინდოჩინეთში. რაც არ უნდა ილაპარაკონ, არ დავუშვებთ. სამარცხვინოდ მოიქცნენ სამადაშვილი, ხოშტარია და თამარ კორძაია. მიხედონ თავიანთ ოჯახებს. ჩვენთან წინა მთავრობაში ძალიან ბევრი მინისტრი იყო მასეთი, თუმცა არავის არაფერი არ უთქვამს“,- აღნიშნა მეუფე იაკობმა.

მისივე თქმით, პოლიციას პატივი უნდა სცეს ყველამ და არ უნდა აწვალონ ასე.

“რასაც გავაკეთებ, ნახავს ერი. ხელწამოსაკრავი ადამიანი არ ვარ. გადაწყვეტილების მიმღები ადამიანი ვარ და მივიღებ იმ გადაწყვეტილებას, რაც გასაკეთებელია საქართველოსთის და ქართველობისთის. არავისთან არ შევათანხმებ, მე თვითონ მივიღებ გადაწყვეტილებას, რას გავაკეთებ“ – განაცხადა მეუფე იაკობმა.

– 1tv